საქართველოს პარლამენტი

საპროცედურო საკითხთა და წესების კომიტეტი

11929
30.09.2015

საქართველოს პარლამენტის ბიუროს

საქართველოს პარლამენტის

საპროცედურო საკითხთა და წესების კომიტეტის

დ ა ს კ ვ ნ ა

საქართველოს პარლამენტის წევრის დავით საგანელიძისათვის პარლამენტის წევრის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის თაობაზე

საქართველოს პარლამენტის საპროცედურო საკითხთა და წესების კომიტეტმა 2015 წლის 30 სექტემბერს კომიტეტის სხდომაზე განიხილა საქართველოს პარლამენტის წევრის დავით საგანელიძისათვის პარლამენტის წევრის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის საკითხი, მის მიერ პარლამენტის წევრის სტატუსთან შეუთავსებელი საქმიანობის განხორციელების გამო. საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2015 წლის 29 სექტემბრის ამონაწერით მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან დასტურდება, რომ ბატონმა დავით საგანელიძემ დაიკავა სს „საპარტნიორო ფონდის" აღმასრულებელი დირექტორის თანამდებობა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე კომიტეტს მიაჩნია, რომ საქართველოს კონსტიტუციის 54-ე მუხლის მე-2 პუნქტის „დ" ქვეპუნქტისა და საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის მე-8 მუხლის მე-2 პუნქტის „დ" ქვეპუნქტის შესაბამისად

4600, ქ. ქუთაისი, ი.აბაშიძის გამზ. №26 საქართველოს პარლამენტის სასახლე
ტელეფონი: (995 32) 2281679, ელ.ფოსტა: contact@parliament.ge

საქართველოს პარლამენტის წევრს დავით საგანელიძეს ვადამდე შეუწყდეს პარლამენტის წევრის უფლებამოსილება.

პატივისცემით,

გიორგი კახიანი

კომიტეტის თავმჯდომარე